ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

სამხედრო მინისტრის თანაშემწისა

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ

№ 1

19 იანვარი 1919 წ, ქ. ტფილისი.

22 დეკემბერს 1918 წ. № 117-ით გამოცემულის საქართველოს მთავრობის ბრძანების § 1-ის ძალით, სამხედრო მინისტრის ბრძანებისამებრ, ვაწესებ მეორე ქვეითა დივიზიასთან საგანგებო სამხედრო სასამართლოს განსახილველად საქმისა 5-ე ქვეითა პოლკის 9-ე გუნდის თევქსმეტის ჯარისკაცის შესახებ, რომელთაც ბრალი ედებათ სამხედრო დადგენილებათა კრებულის XXII წიგნის 245 მუხლის ძალით (ბრძოლის დროს პოზიციის მიტოვებისთვის).

აღნიშნულის 245 მუხლის ძალით გადაცემულნი არიან ჩემ მიერ საგანგებო სასამართლოსთვის 5-ე პოლკის მე-9 გუნდის ჯარისკაცები: 1. იოსებ ილიას-ძე ხოსიტაშვილი, 2. გიორგი ზახარიას-ძე მიკულაშვილი, 3. გიორგი გერმანავა გუგუტაშვილი, 4. პავლე ივანეს-ძე ურიაშვილი, 5. ნიკოლოზ ალექსის-ძე კოსტაშვილი, 6. მიხეილ ალექსის-ძე დიღმილაშვილი, 7. ნიკოლოზ იაგორის-ძე ბორაშვილი, 8. მიხეილ ზურაბის-ძე ზალიაშვილი, 9. ზაქარია დავითის-ძე მათიაშვილი, 10. ნიკოლოზ სარქისას-ძე ოზგელაშვილი, 11. გიორგი ნიკოლოზის-ძე უსტიაშვილი, 12. ვასილ იციაშვილი, 13. იასონ სანიაშვილი, 14. კრივიკ შიაშვილი, 25. ივანე მერანაშვილი და 16. იოსებ მარუთაშვილი.

მივუწერ 2-ე ქვეითა დივიზიის უფროსს დანიშნოს საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები 1918 წ. № 177-ით გამოცემულის ბრძანების 1 პარაგრაფის მეორე პუნქტის ძალით. დანარჩენში იხელმძღვანელოს იმავე პარაგრაფის 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17 და 18 პუნქტები და აგრეთვე ბრძანების № 177 მეორე პარაგრაფი.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე
გენერალ-მაიორი **გედევანიშვილი.**